

**პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონმდებლობის შედარებითი
სამართლებრივი ანალიზი**

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანი და გარანტია, ადამიანის პირადი სფერო კი განსაკუთრებით ხელშეუხებელია. ამდენად, ბუნებრივია, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ამ უფლებათა დაცვის ეფექტური მექანიზმების არსებობა აუცილებელია, რაც ფაქტიურად უკვე უზრუნველყოფილია მრავალი სახელმწიფოს შესაბამისი კანონმდებლობით.

ამიტომ, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რომ გავცნობოდით მონაცემთა დაცვის სფეროში დამკვიდრებულ საერთაშორისო პრაქტიკას, მით უფრო, რომ ამის საკმარისი ტრადიციები არსებობს.

ნაშრომში მიმოვიხილავთ როგორც კონტინენტური, ისე საერთო სამართლის სისტემის მქონე სახელმწიფოების, მათ შორის, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების გამოცდილებას (უნგრეთის მაგალითზე). განსაკუთრებულ ადგილს დავუთმობთ და შედარებით დეტალურად განვიხილავთ ევროგაერთიანების მიერ მიღებულ დირექტივას პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, რამდენადაც ევროგაერთიანების ქვეყნების ნაციონალური კანონმდებლობა, მცირე გამონაკლისების გარდა (მაგალითად, საფრანგეთის 1978 წლის კანონი), უკვე იქნა შესაბამისობაში მოყვანილი ამ აქტთან.

***ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის დირექტივა
95/46/ ჩ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და
ამგვარი ინფორმაციის თავისუფალი ბრუნვის შესახებ
(ფფიციალ ქოურნალ 281, 23/11/1995, პ. 0031-0050)***

დირექტივის დაცვის სუბიექტს წარმოადგენს ფიზიკური პირი, მისი ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, განსაკუთრებით კი – ფიზიკური პირის პირადი ცხოვრება პერსონალური მონაცემების დამუშავებისას. ამასთან, დადგენილია, რომ წევრ სახელმწიფოებს შორის არ უნდა შეიზღუდოს ან აიკრძალოს პერსონალური მონაცემების თავისუფალი მოძრაობა იმ საფუძველით, რომ დაცული იქნეს ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი სიკეთე.

დირექტივის მე-2 მუხლი ეთმობა ტერმინთა განმარტებას. ვფიქრობთ, ტერმინთა განმარტების დეტალური გადმოცემა მიზანშეწონილია, რადგან თავად პერსონალური მონაცემის დეფინიციას არსებითი მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, ეს შესაძლებლობას მოგვცემს, რომ სხვა აქტების მიმოხილვისას თავი ავარიდოთ ტერმინთა განმარტებებს, რადგან ისინი ფაქტიურად ყველგან იდენტურნი და დირექტივის შესაბამისი არიან.

“პერსონალური მონაცემები” წარმოადგენენ ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირთან (“მონაცემების სუბიექტთან”). იდენტიფიცირებადია პირი, რომლის იდენტიფიცირებაც შესაძლებელია პირდაპირ ან არაპირდაპირ, განსაკუთრებით, საიდენტიფიკაციო ნომრის

გამოყენებით, ან ერთი ან რამდენიმე ფაქტორით, რომელიც გამოხატავს მის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ, გონებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ ან სოციალურ იდენტურობას.

“პერსონალური მონაცემების დამუშავება” (“დამუშავება”) – გულისხმობს პერსონალურ მონაცემებზე ავტომატური თუ სხვა საშუალებებით განხორციელებულ ნებისმიერ ოპერაციას ან ოპერაციათა ერთობლიობას, როგორცაა მოპოვება, ჩაწერა, ორგანიზაცია, შენახვა, გადაკეთება ან შეცვლა, შესწორება, გამოკითხვა, გამოყენება, გამხელა გადაცემისას, გავრცელებისას ან სხვაგვარად მათი ხელმისაწვდომად გადაქცევა, გამოცალკევება ან გაერთიანება, ბლოკირება, წაშლა ან განადგურება.

“პერსონალურ მონაცემთა ფაილური სისტემა” (“ფაილური სისტემა”) აღნიშნავს პერსონალურ მონაცემთა სტრუქტურულ ერთიანობას, რომელიც ხელმისაწვდომია სპეციფიკური კრიტერიუმის მიხედვით, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული ან დაყოფილი ფუნქციური ან გეოგრაფიული ნიშნით.

“კონტროლის განმახორციელებელი პირი” გულისხმობს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, სახელმწიფო ორგანოს, ორგანიზაციას ან სხვა დაწესებულებას, რომელიც დამოუკიდებლად ან ერთობლივად განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს. თუ პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნები და საშუალებები განსაზღვრულია ნაციონალური ან ევროპული კანონმდებლობით ან სხვა ადმინისტრაციული აქტებით, მაშინ დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირი, აგრეთვე მისი დანიშვნის კრიტერიუმები, შეიძლება განისაზღვროს ნაციონალური ან ევროპული კანონმდებლობით.

“დამუშავებელ პირად” ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, სახელმწიფო ორგანო, ორგანიზაცია ან სხვა ორგანო, რომელიც ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს კონტროლის განმახორციელებელი პირის დავალებით.

“მესამე პირი” გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, სახელმწიფო ორგანოს, ორგანიზაციას ან სხვა ორგანოს, გარდა მონაცემების სუბიექტისა, რომლებსაც კონტროლის განმახორციელებელი პირის, დამუშავებელი პირის ან სხვა პირის მიერ, რომელზედაც უშუალოდ აგებს პასუხს კონტროლის განმახორციელებელი პირი და დამუშავებელი პირი, მინიჭებული აქვთ პერსონალურ მონაცემების დამუშავების უფლებამოსილება.

“მიმღები” წარმოადგენს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, სახელმწიფო ორგანოს, ორგანიზაციას ან სხვა ორგანოს, რომლებსაც გაუმხელენ პერსონალურ მონაცემებს, იქნება ეს მესამე პირი თუ არა. ორგანოები, რომლებიც იღებენ მონაცემებს ცალკეულ საგამოძიებო დავალებათა ფარგლებში, არ ჩაითვლებიან მიმღებად.

“მონაცემების სუბიექტის თანხმობა” აღნიშნავს ნების ნებისმიერ გამოვლენას, რაც არ განხორციელებულა ძალადობის ქვეშ, მიმართულია კონკრეტულ შემთხვევაზე და გარემოებათა შეცნობით და რითაც მონაცემების სუბიექტი აცხადებს თანხმობას, რომ მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები დამუშავდეს.

ღირექტივის მოქმედება ვრცელდება როგორც პერსონალური მონაცემების სრულად ან ნაწილობრივ ავტომატური საშუალებებით, ისე სხვა საშუალებებით დამუშავებაზე, რაც ქმნის ფაილურ სისტემას ან გამიზნულია ამ სისტემის ნაწილის შესაქმნელად.

დირექტივის გამოყენების სფეროს არ წარმოადგენს იმ პერსონალური მონაცემების დამუშავება, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან, თავდაცვასთან, სახელმწიფოს უშიშროებასთან (მათ შორის სახელმწიფოს ეკონომიკურ კეთილდღეობასთან, როდესაც დამუშავების ოპერაცია შეეხება სახელმწიფოს უშიშროებასთან დაკავშირებულ საკითხებს და სახელმწიფოს საქმიანობას სისხლის სამართლის სფეროში).

დირექტივით დადგენილი დებულებანი ასევე არ ვრცელდებიან ფიზიკური პირის მიერ პირადი ან საყოფაცხოვრებო მიზნებით პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.

აქტი აგებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპებზე და ადგენს პერსონალური მონაცემების დამუშავების მართლზომიერების ზოგად წესებს: პერსონალური მონაცემების დამუშავების ხარისხს, მონაცემების დამუშავების დასაშვებობის პრინციპებს (ლეგიტიმურობის კრიტერიუმებს), დამუშავების განსაკუთრებულ კატეგორიებს, მონაცემების სუბიექტისათვის ინფორმაციის მიწოდების მოვალეობას, მონაცემების სუბიექტის მიერ ინფორმაციის მიღების უფლებას, გამონაკლისებს და შეზღუდვებს ამ წესებიდან, მონაცემების სუბიექტის უფლებას უარი განაცხადოს მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, დამუშავების კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოვალეობას, კონტროლის განმსხორციელებელი პირის ან მისი წარმომადგენლის მიერ ზედამხედველი ორგანოსათვის პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე შეტყობინების მიწოდების მოვალეობას.

აქტი ადგენს, რომ პერსონალური მონაცემები შეგროვებული უნდა იქნეს სპეციფიკური, განსაზღვრული და კანონიერი მიზნებისათვის, უნდა იყოს ამ მიზნების ადეკვატური, შესაბამისი და ზუსტი. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს არაზუსტი ან არასრული ინფორმაციის წაშლის ან განადგურების შესაძლებლობა. პერსონალური მონაცემების შენახვის ვადა უნდა შემოიფარგლოს პერიოდით, რაც სავალდებულოა ზემოთ აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად. ამასთანავე ისტორიული, სტატისტიკური ან სამეცნიერო მიზნებით პერსონალური მონაცემების შემდგომი დამუშავება ან უფრო ხანგრძლივი ვადით შენახვა არ ჩაითვლება სპეციფიკური, განსაზღვრული ან კანონიერი მიზნების შეუსაბამოდ, თუ წევრი-სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მონაცემების უსაფრთხოებისა და დაცვის სათანადო მექანიზმებს.

პერსონალური მონაცემების დამუშავება დასაშვებია, თუ მონაცემების სუბიექტი მისცემს შესაბამის თანხმობას ან დამუშავება აუცილებელია იმ ხელშეკრულების ასამოქმედებლად, რომლის მხარეც მონაცემების სუბიექტია ან რაც აუცილებელია ხელშეკრულების დასადავად მონაცემების სუბიექტის მოთხოვნით, კონტროლის განმსხორციელებელი პირის მიერ კანონით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად, მონაცემების სუბიექტის სასიცოცხლო ან საჯარო ინტერესების დასაცავად, სახელმწიფო ხელისუფლების განსახორციელებლად, აუცილებელია კონტროლის განმსხორციელებელი პირის ან შესაბამისად, მესამე პირის კანონიერი მიზნების განსახორციელებლად, თუ არ ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ დირექტივით დადგენილ პერსონალური მონაცემების *განსაკუთრებულ* კატეგორიებზე, როგორცაა **რასობრივი ან ეროვნული წარმომავლობა, პოლიტიკური შეხედულებანი, რელიგიური ან ფილოსოფიური**

მრწამსი, პროფკავშირის წევრობა და ასევე, ჯანმრთელობასთან ან სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული მონაცემები. აქტი კრძალავს ამ განსაკუთრებული კატეგორიების პერსონალური მონაცემების დამუშავებას, თუმცა, აქვე აღგენს გამონაკლისებს ამ წესიდან. მაგალითად, თუ მონაცემების სუბიექტმა განაცხადა თანხმობა ამ მონაცემთა დამუშავებაზე ან მათი დამუშავება აუცილებელია მონაცემების სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, თუ მონაცემების სუბიექტს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან არაქმედუნარიანობის გამო განსაკუთრებული კატეგორიების პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე თანხმობის მიცემა არ შეუძლია, თუ დამუშავება ხორციელდება პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური ორგანიზაციების ან პროფკავშირის მიერ კანონიერი ინტერესების განსახორციელებლად, თუ დამუშავება დაკავშირებულია მხოლოდ ამ ორგანიზაციების წევრობასთან და სხვ. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებისათვის დადგენილი შეზღუდვები ასევე არ ვრცელდება პრევენციული მედიცინის, სამედიცინო დიაგნოსტიკის, მოვლის ან მკურნალობის უზრუნველყოფის, ჯანდაცვის სამსახურების მართვის მიზნებისათვის პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. იგივე ვრცელდება დანაშაულთან, სისხლის სამართლის საქმეების განხილვასთან, სახელმწიფო უშიშროების ზომებთან დაკავშირებით ამ კატეგორიების მონაცემების დამუშავებაზე, თუ სახელმწიფო შექმნის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესაბამის გარანტიებს.

მონაცემების სუბიექტს უნდა მიეწოდოს პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია, მიუხედავად იმისა მონაცემები მოპოვებული იქნა უშუალოდ მონაცემების სუბიექტის თუ სხვა პირებისაგან.

მონაცემების სუბიექტს აქვს უფლება თავად გაეცნოს ინფორმაციას მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ: მაგალითად, მონაცემთა დამუშავების მიზნებს, მიმღების ვინაობას და სხვ.

როგორც უკვე აღინიშნა, აქტი აღგენს პერსონალური მონაცემების დამუშავების მარეგულირებელი ზოგადი წესებიდან გამონაკლისებს, თუ ეს აუცილებელია:

- ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
- თავდაცვისათვის;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის;
- დანაშაულთა პრევენციის, გამოძიების, დამნაშავის დადგენის ან სისხლის-სამართლებრივი დევნის მიზნით, პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევისას (რეგულირებული პროფესიების შემთხვევაში);
- წევრი სახელმწიფოების მნიშვნელოვანი ეკონომიკური ან ფინანსური ინტერესებისათვის, მათ შორის, სავალუტო, საბიუჯეტო და საგადასახადო ინტერესებთან დაკავშირებით;
- საჯარო ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით კონტროლის, დაკვირვების წარმოების, წესრიგის დამყარებისათვის, როდესაც ეს დაკავშირებულია ზემოთ აღნიშნული პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებთან;
- მონაცემების სუბიექტის ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად.

ღირექტივა ასევე ადგენს ზედამხედველი ორგანოსათვის კონტროლის განმახორციელებელი პირის ან მისი წარმომადგენლის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების დაწყებამდე შეტყობინების მიწოდების მოვალეობას და ზედამხედველი ორგანოს მიერ შეტყობინების საფუძველზე წინასწარი შემოწმების უფლებას.

ამასთანავე განსაზღვრულია შეტყობინების შინაარსიც: მაგალითად, კონტროლის განმახორციელებელი პირის სახელი და მისამართი, მონაცემების დამუშავების მიზანი, პერსონალური მონაცემების კატეგორიები და სხვ.

ასევე გათვალისწინებულია პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით წარმოებული ინფორმაციის გამოქვეყნებისა და ზედამხედველი ორგანოს მიერ შეტყობინებათა რეესტრის წარმოების მოვალეობა.

ღირექტივით უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა, გასაჩივრების წესი, პასუხისმგებლობა და სანქციები.

ამასთანავე ღირექტივა უშვებს პერსონალური მონაცემების მესამე ქვეყნებისათვის გადაცემის შესაძლებლობას, თუ ამ ქვეყნების კანონმდებლობით უზრუნველყოფილია დაცვის შესაბამისი მექანიზმები.

ღირექტივაში ცალკე თავი აქვს დათმობილი ზედამხედველი ორგანოს სტატუსისა და უფლებამოსილების განსაზღვრას. წევრმა-სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ერთი ან რამდენიმე საჯარო ორგანოს მიერ ამ აქტისა და შესაბამისი ნაციონალური აქტის განხორციელებაზე ზედამხედველობა. მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას ეს ორგანოები მოქმედებენ სრულიად დამოუკიდებლად. ორგანოს მინიჭებული უნდა ჰქონდეს საკმაოდ ფართო უფლებამოსილება, მათ შორის, გამოძიების უფლებამოსილება, რაც გულისხმობს პერსონალური მონაცემის გაცნობის, იმ პირის მოსმენის უფლებას, რომლის უფლებებიც დაირღვა და სხვ. ზედამხედველი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

აქტით იქმნება წარმომადგენლობითი, სათათბირო ორგანო – სამუშაო ჯგუფი ფიზიკური პირის დასაცავად პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს ამ ღირექტივის განხორციელებას ევროგაერთიანების მასშტაბით. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული მოსაზრებები და რეკომენდაციები გადაეცემა კომისიას, რაც შემდგომ შესაძლოა გადაეცეს ევროპის პარლამენტსა და საბჭოს და გამოქვეყნდეს.

გერმანია

უფედერაციის კანონი მონაცემების დაცვის შესახებ

(2001 წლის 23 მაისის მდგომარეობით)

კანონის მიზანია დაიცვას ცალკეული პირები პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით პირადი უფლებების ხელყოფისაგან.

კანონის მოქმედება ვრცელდება პერსონალური მონაცემების მოპოვებაზე, დამუშავებასა (შენახვა, შეცვლა, გადაცემა, ბლოკირება და წაშლა) და გამოყენებაზე, როგორც კერძო სამართლის, ისე საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელწიფო ორგანოების მიერ. ისინი გამიჯნულია სპეციფიკური ტერმინებით – “ფედერაციის საჯარო ორგანოები”, “მიწების საჯარო ორგანოები” და “კერძო ორგანოები”, სადაც მოცემულია ამ პირთა ამომწურავი ჩამონათვალი.

პერსონალური მონაცემების ცნება არსებითად არ განსხვავდება ღირექტივაში მოცემული ცნებისაგან და ასევე ხაზგასმით გულისხმობს მხოლოდ ფიზიკურ პირთან დაკავშირებულ მონაცემებს: პერსონალური მონაცემები აღნიშნავს ნებისმიერ ინფორმაციას იდენტიფიცირებული ან იდენტიფიცირებადი ფიზიკური პირის პირად ან მატერიალურ გარემოებებთან დაკავშირებით.

კონტროლის განმახორციელებელი პირი ამ კანონში აღნიშნულია ტერმინით “პასუხისმგებელი ორგანო”, რაც მოიცავს ნებისმიერ პირს ან ორგანოს, რომელიც პერსონალურ მონაცემებს საკუთარი მიზნებისათვის მოიპოვებს, ამუშავებს ან იყენებს ან სხვას ანიჭებს ამ უფლებამოსილებას.

ტერმინთა განმარტების თავშივეა მოცემული განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების ამომწურავი ჩამონათვალი: მონაცემები რასობრივი და ეთნიკური წარმოშობის, პოლიტიკური შეხედულებების, რელიგიური ან ფილოსოფიური მრწამსის, პროფკავშირის წევრობის, ჯანმრთელობის და სექსუალური ცხოვრების შესახებ.

შემდგომ კანონი ითვალისწინებს ღირექტივით გათვალისწინებულ მონაცემების დაცვის ძირითად პრინციპებს და დეტალურად აწესრიგებს მონაცემების მოპოვების, დამუშავებისა და გამოყენების დასაშვებობასა და მონეცემების სუბიექტის თანხმობას მონაცემთა მოპოვების, დამუშავებისა და გამოყენებისათვის. დადგენილია თანხმობის სავალდებულო წერილობითი ფორმა, თუ განსაკუთრებული გარემოებების გამო შესაბამისი ფორმის გამოყენება არ არის აუცილებელი. ხაზგასმულია, რომ განსაკუთრებული პერსონალური მონაცემების მოპოვების, დამუშავებისა და გამოყენებისათვის თანხმობაში აშკარად უნდა იყოს გამოხატული სწორედ ამ მონაცემთა მოპოვების, დამუშავებისა და გამოყენების ნება.

კანონის რეგულირების საგანს ასევე წარმოადგენს პასუხისმგებელი ორგანოს მიერ (იგივე კონტროლის განმახორციელებელი პირი) პერსონალური მონაცემების გადაცემა მესამე პირისათვის (როგორც საჯარო, ისე კერძო ორგანოებისათვის). პერსონალური მონაცემების გადაცემა მესამე პირისათვის (საჯარო ორგანოებისათვის) დასაშვებია, თუ მონაცემთა გადაცემა აუცილებელია მონაცემების გადამცემი ორგანოს ან მესამე პირისათვის (რომელსაც მონაცემები გადაეცემა) დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად.

ამ ზოგადი წესიდან ამავე კანონით დადგენილია გამონაკლისებიც, როდესაც პერსონალური მონაცემების გადაცემა მესამე პირისათვის დასაშვებია, მაგალითად, თუ მონაცემების სუბიექტი მონაცემების გადაცემის თაობაზე თანხმობას განაცხადებს ან როცა თავიდან უნდა იქნეს აცილებული მნიშვნელოვანი ზიანი, რომელიც შესაძლოა სხვა პირს მიაღწეს ან გადაცემა აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სისხლის-სამართლებრივი დევნის განსახორციელებლად, სამეცნიერო კვლევის საწარმოებლად და სხვ.

მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის საკითხი პერსონალური მონაცემების გადაცემისათვის: გადაცემის დასაშვებობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პერსონალური მონაცემების გადამცემ ორგანოს. იმ შემთხვევაში, თუ მონაცემების გადაცემა განხორციელდა მესამე პირის მიმართვის საფუძველზე, მაშინ პასუხისმგებლობა ამ უკანასკნელზე გადადის და მონაცემების გადამცემი ორგანო მხოლოდ ამოწმებს მესამე პირის მიმართვის შესაბამისობას ამ პირის მიერ შესასრულებელ ამოცანებთან (მინიჭებულ უფლებამოსილებასთან).

მესამე პირი შეზღუდულია გადაცემული პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და გამოყენებაში: მათი დამუშავება და გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ მიზნით, რომლის განსახორციელებლადაც იქნა მონაცემები გადაცემული.

იგივე წესია დადგენილი პერსონალური მონაცემების კერძო ორგანოებისათვის გადაცემისას, გარკვეული სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ, თუ ეს უკანასკნელი დაასაბუთებს თავის კანონიერ ინტერესებს, რის გამოც მას შესაძლოა მონაცემები გადაეცეს და თუ, თავის მხრივ, მონაცემების სუბიექტს არა აქვს კანონიერი ინტერესი, რომ აკრძალოს პერსონალური მონაცემების გადაცემა.

აქტით მოწესრიგებულია მონაცემთა თავისუფალი ბრუნვა როგორც ევროგაერთიანების, ისე სხვა სახელმწიფოებს შორის. პერსონალური მონაცემების თავისუფალი ბრუნვის უზრუნველყოფის წინაპირობაა ამ ბრუნვის მონაწილე ქვეყნების კანონმდებლობაში პერსონალური მონაცემების სფეროში დაცვის შესაბამისი მექანიზმების არსებობა.

გათვალისწინებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ შეტყობინების მოვალეობა და განსაზღვრულია შეტყობინების შინაარსი. შეტყობინების მოვალეობა წარმოიშობა მონაცემთა ავტომატიზირებული დამუშავებისას და ეკისრება კერძო პასუხისმგებელ ორგანოებს და საჯარო პასუხისმგებელ ორგანოებს. შეტყობინების მოვალეობა არ წარმოიშობა ამავე აქტით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში, მაგალითად, თუ პასუხისმგებელი პირი პერსონალურ მონაცემებს საკუთარი მიზნებისათვის მოიპოვებს, დაამუშავებს და გამოიყენებს, თუ ამასთან, ამ საქმით დაკავებულია არაუმეტეს ოთხი თანამშრომლისა ან თუ მონაცემების სუბიექტმა თანხმობა განაცხადა.

საჯარო ან კერძო ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ პერსონალური მონაცემების მოპოვებას, დამუშავებასა და გამოყენებას ეკისრებათ მოვალეობა დანიშნონ *მონაცემების დაცვის თაობაზე უფლებამოსილი პირი*, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარება ამ ორგანოს ხელმძღვანელს.

ფედერაციის მასშტაბით უფლებამოსილ პირს ირჩევს ბუნდესრატი და ამტკიცებს ფედერაციის პრეზიდენტი ხუთი წლის ვადით. უფლებამოსილი პირი ექვემდებარება შინაგან საქმეთა მინისტრს.

ფედერაციის უფლებამოსილი პირი ზედამხედველობს ამ კანონითა და მონაცემების დაცვის შესახებ სხვა აქტებით გათვალისწინებული დებულებების შესრულებას ფედერაციის საჯარო ორგანოების მიერ. წელიწადში ორჯერ ფედერაციის მონაცემების დაცვისათვის უფლებამოსილი პირი ანგარიშით წარდგება გერმანიის ბუნდესტაგის წინაშე და ახსენებს მას და საზოგადოებრიობას მონაცემების დაცვის სფეროში არსებულ და მისი განვითარების მნიშვნელოვან საკითხებს უფლებამოსილ პირს მინიჭებული აქვს ფართო უფლებამოსილებანი, მათ შორის,

შესამოწმებელ ორგანოებში თავისუფლად შესვლის, შემოწმებისა და დათვალიერების განხორციელების, შენახული პერსონალური მონაცემების გაცნობისა და მათი დამუშავების პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება და სხვ.

კანონი იცავს მონაცემების სუბიექტს და ანიჭებს უფლებებს, როგორც არის მაგალითად, ინფორმაციის მიღების, მონაცემთა შესწორების, წაშლისა და ბლოკირების მოთხოვნის უფლება, რაც არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს გარიგებით; ასევე – პასუხისმგებელი პირისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

უნდა აღინიშნოს, რომ აქტი დეტალურად არეგულირებს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს: მაგალითად, ცალკე თავით აწესრიგებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას საჯარო ორგანოთა მიერ და ცალკე თავით – კერძო ორგანოთა მიერ.

კანონი ითვალისწინებს ზედამხედველი ორგანოს არსებობას, რომელიც ზედამხედველობს პერსონალური მონაცემების მოპოვების, დამუშავებისა და გამოყენებისას ამ კანონითა და მონაცემთა დაცვის შესახებ სხვა აქტებით დადგენილ დებულებათა განხორციელებას. ზედამხედველი ორგანო აწარმოებს რეესტრს, რომელიც მოიცავს ავტომატიზირებული საშუალებებით მონაცემების დამუშავებისას არსებული შეტყობინების მოვალეობის შესაბამისად მიწოდებულ ინფორმაციას.

კანონი ცალკე აწესრიგებს პერსონალური მონაცემების მოპოვებას, დამუშავებასა და გამოყენებას სამეცნიერო დაწესებულებების მიერ, რაც ექვემდებარება დუმილის მოვალეობას.

ასევე დადგენილია ადმინისტრაციული და სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა კანონის მოთხოვნების დარღვევისათვის.

ესპანეთი

პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ 1999 წლის 13 დეკემბრის ორგანული კანონი №15

(ოფიციალური ტექსტი გამოქვეყნებულია: ოე 298, 14.12.1999)

პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობა ესპანეთის მაგალითზე კიდევ უფრო ნათლად დასტურდება იმ გარემოებით, რომ საკითხი ორგანული კანონით წესრიგდება.

ორგანული კანონი იცავს ფიზიკური პირის საჯარო თავისუფლებას და ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, განსაკუთრებით, მის პირად და საოჯახო სფეროს პერსონალური მონაცემების დამუშავებისას. კანონის მოქმედება ვრცელდება ფიზიკური საშუალებებით პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე და მათ შესაბამის გამოყენებაზე როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორების მიერ.

კანონის გამოყენების სფეროს არ წარმოადგენს მონაცემთა ერთობლიობა, რომლებსაც აწარმოებს ფიზიკური პირი პირადი ან საყოფაცხოვრებო მიზნებით, ასევე – მონაცემები, რომლებიც ექვემდებარებიან კანონმდებლობას კლასიფიცირებული

მასალების დაცვის შესახებ და რომლებიც გამიზნულია ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის სერიოზული ფორმების გამოძიებისათვის. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მონაცემთა ერთობლიობაზე პასუხისმგებელმა პირმა პერსონალური მონაცემების სააგენტოს წინასწარ უნდა აცნობოს მისი არსებობის, ზოგადი მახასიათებლებისა და მიზნის შესახებ.

ტერმინთა განმარტებაში ყურადღებას იპყრობს პერსონალური მონაცემების მარტივი, მაგრამ ამომწურავი ფორმულირება: “პერსონალური მონაცემები” – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შეეხება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. “მონაცემების დამუშავება” გულისხმობს ოპერაციებსა და ტექნიკურ პროცესებს, განხორციელებულს ავტომატური ან სხვა საშუალებებით, რაც იძლევა მონაცემთა მოპოვების, ჩაწერის, შენახვის, გადაკეთების, შესწორების, ბლოკირების და გაუქმების შესაძლებლობას, ასევე მათ გავრცელებასა და გადაცემას. “კონტროლის განმხორციელებელი პირი” წარმოადგენს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, როგორც კერძო სამართლის, ისე საჯარო სამართლის იურიდიული პირს, ან ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც განსაზღვრავს დამუშავების მიზანს, შინაარსსა და გამოყენებას.

ტერმინთა განმარტებაში, განსხვავებით სხვა კანონებისაგან, ასევე მოცემულია მონაცემების სუბიექტის თანხმობისა და საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების ცნებებიც. ამ უკანასკნელს მიაკუთვნებენ საჯარო რეესტრებს, სატელეფონო ცნობარებს და ა.შ.

კანონი შესაბამისობაშია მოყვანილი ევროგაერთიანების დირექტივასთან და ადგენს მონაცემების დაცვის პრინციპებს: მონაცემების ხარისხს, მონაცემების მოპოვებისას ინფორმირების უფლებას (გათვალისწინებულია ასევე წინასწარი ინფორმირების მოვალეობა), მონაცემების სუბიექტის თანხმობას, განსაკუთრებულ დაცვას დაქვემდებარებულ მონაცემებს, ჯანმრთელობის შესახებ მონაცემებს, მონაცემების უსაფრთხოებას, მონაცემების კონფიდენციალურობას, მონაცემების გადაცემას (მონაცემების გადაცემა შესაძლებელია პირებისათვის დასაშვებია გადამცემისა და მიმღების მხოლოდ ლეგიტიმური ფუნქციების შესასრულებლად და მონაცემების სუბიექტის წინასწარი თანხმობით ამ კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა), მონაცემების მიღება მესამე პირთა მიერ და სხვ.

ცალკე თავით რეგულირდება მონაცემების სუბიექტის უფლებები: მიმართოს პერსონალური მონაცემების გენერალურ რეესტრს კონსულტაციისათვის, მიიღოს ინფორმაცია, მოითხოვოს მონაცემების შესწორება ან გაუქმება.

ზემოთ აღნიშნულ უფლებათა დარღვევის შემთხვევაში მონაცემების სუბიექტი მიმართავს მონაცემების დაცვის სააგენტოს, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლო წესით. დადგენილია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

კანონი დეტალურად აწესრიგებს მონაცემთა ერთობლიობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შექმნას, შესწორებას ან გაუქმებას, გადაცემას როგორც მათი საჯარო, ისე კერძო მფლობელობაში არსებობის დროს.

პერსონალური მონაცემების გადაცემის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ერთი საჯარო ორგანოს მიერ სხვა საჯარო ორგანოსათვის მათი გადაცემის წესი. დადგენილია, რომ პერსონალური მონაცემები, რომელიც საჯარო ორგანომ მოიპოვა დაკისრებული ამოცანების შესრულების მიზნით არ უნდა გადაეცეს სხვა საჯარო

ორგანოს სხვა უფლებამოსილების ან სხვა საკითხებთან დაკავშირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, თუ გადაცემის მოვალეობა წინასწარ არ იყო განსაზღვრული ამ მონაცემთა ერთობლიობის (ფაილების) შექმნისას ან სხვა უპირატესი ძალის მქონე აქტით არ იყო დადგენილი. პერსონალური მონაცემების გადაცემა საჯარო ორგანოებისათვის ასევე დასაშვებია, თუ გადაცემა ისტორიულ, სტატისტიკურ ან სამეცნიერო მიზნებს ემსახურება. პერსონალური მონაცემების გადაცემა, რომლებიც საჯარო ორგანომ მოიპოვა სხვა საჯარო ორგანოს დავალებით, დასაშვებია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. პერსონალური მონაცემების გადაცემის ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში მონაცემების სუბიექტის თანხმობა არ არის საჭირო.

კანონში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამართალდამცავი ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების, მათ შემცველ მონაცემთა ერთობლიობის მოპოვებასა და დამუშავებას. სამართალდამცავი ორგანოების მიერ შექმნილ მონაცემთა ერთობლიობაზე, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს და შექმნილია უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ვრცელდება ამ კანონის ზოგადი წესების მოქმედება. პოლიციის მიერ მონაცემების სუბიექტის თანხმობის გარეშე პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევები შეზღუდულია და შემოიფარგლება იმ შემთხვევებითა და პერსონალური მონაცემების იმ კატეგორიებით, რაც აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რეალური საფრთხის აღსაკვეთად და დანაშაულის აღმოსაფხვრელად. ამასთან, ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში მონაცემთა მოპოვება და დამუშავება ხორციელდება, თუ ეს გადაწყვეტი და არსებითია სპეციფიკური საგამომიებო მიზნებისათვის. პოლიციის მიერ შენახული პერსონალური მონაცემების გაუქმება შესაძლებელია, როდესაც ეს საჭირო აღარ არის საგამომიებო მიზნებისათვის.

კერძო პირების მიერ პერსონალური მონაცემების ერთობლიობის შექმნა დასაშვებია, თუ ეს აუცილებელია ამ პირთა კანონიერი საქმიანობისა და პირის მიზნებისათვის, თუ უზრუნველყოფილია ამ კანონით გათვალისწინებული მონაცემების სუბიექტისათვის დადგენილი დაცვის მექანიზმები. კერძო პირებისათვის დადგენილია შეტყობინების მოვალეობა. შეეტობინება მიეწოდება მონაცემების დაცვის სააგენტოს და გატარდება პერსონალური მონაცემების გენერალურ რეესტრში.

მონაცემების დაცვის სააგენტო წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას დამოუკიდებელია საჯარო ორგანოებისაგან. სააგენტოს უფლებამოსილება მეტად ფართოა, მაგალითად ზედამხედველობა კანონის განხორციელებაზე, მონაცემების სუბიექტის განცხადებებისა და საჩივრების მიღება დარღვეული უფლებების შესახებ, ამავე კანონით დადგენილი სანქციების დაკისრება და სხვ. წლიურ ანგარიშს სააგენტო წარუდგენს იუსტიციის სამინისტროს. სააგენტოს დირექტორს უფლებამოსილებათა განხორციელებისას ხელს უწყობს საკონსულტაციო საბჭო.

კანონი ადგენს ჯარიმებს (ჯარიმის მაქსიმუმი შეადგენს 300.506,05 ევროდან 601,012,10 ევრომდე), რომელიც შესაძლოა დაეკისროს კონტროლის განმახორციელებელსა და დამუშავებელს ამ კანონით გათვალისწინებული დებულებების დარღვევის შემთხვევაში.

ნიღერლოანები

პერსონალური მონაცემების დაცვის აქტი

(2000 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით)

ნიდერლანდების პერსონალური მონაცემების დაცვის აქტი ასევე მოყვანილია შესაბამისობაში ევროგაერთიანების დირექტივასთან. ამდენად, დებულებათა ნაწილზე, რომელიც ჩვენს მიერ უკვე განხილული იქნა დირექტივასთან ან სხვა აქტებთან მიმართებაში, ყურადღებას აღარ გავამახვილებთ.

ტერმინთა განმარტების თავი აგებულია იგივე პრინციპით და მოიცავს ჩვენთვის უკვე ცნობილ ცნებებს.

კანონი ვრცელდება პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე ნებისმიერი ავტომატური თუ სხვა საშუალებებით, რომლებიც შეადგენენ მონაცემთა ერთობლიობას ან მომავალში უნდა შეადგინონ მისი ნაწილი.

კანონის გამოყენების სფეროს არ წარმოადგენს პერსონალური მონაცემების დამუშავება პირადი ან საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის, საგამოძიებო და უშიშროების ორგანოების მიერ ან მათი სახელით, პოლიციის ამოცანათა შესასრულებლად და სხვ. ამ უკანასკნელ შემთხვევებში მითითებულია საკითხის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები.

კანონის მოქმედება ასევე არ ვრცელდება შეიარაღებული ძალების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, თუ თავდაცვის მინისტრი ამ მონაცემთა დამუშავებას აუცილებლად მიიჩნევს საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად. ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მონაცემების დაცვის კომისიას.

ამ კანონის რეგულირების სფეროს ასევე არ წარმოადგენს პერსონალური მონაცემების დამუშავება ჟურნალისტური, სახელოვნებო ან ლიტერატურული მიზნებით, გარდა ამ კანონის სპეციალური დებულებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

კანონის სისტემა აქაც აგებულია მონაცემების დაცვის პრინციპებზე და გაერთიანებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების მართლზომიერების წინაპირობების თავში.

განსაკუთრებული პერსონალური მონაცემების დამუშავებას აქტის ცალკე ნაწილი ეთმობა. იკრძალება პერსონალური მონაცემების დამუშავება, რომლებიც შეეხება პირის რელიგიას ან ცხოვრების ფილოსოფიას, რასას, პოლიტიკურ შეხედულებას, ჯანმრთელობასა და სექსუალურ ცხოვრებას, პროფკავშირის წევრობას, ნასამართლობას. ამასთან, კანონი ადგენს გამონაკლისებს ამ ზოგადი წესიდან: მაგალითად, რელიგიასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავება დასაშვებია რელიგიური ორგანიზაციის მიერ, თუ მონაცემის სუბიექტი მისი წევრია ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავება დასაშვებია სამედიცინო პერსონალის, ჯანდაცვის ინსტიტუტების ან სოციალური დაცვის სამსახურების მიერ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მონაცემების სუბიექტის სათანადო მკურნალობა და სოციალური დაცვა და სხვ., ან იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით აუცილებელია განაჩენის აღსასრულებლად ან დაკავებასთან

დაკავშირებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად. განსაკუთრებული პერსონალური მონაცემების დამუშავება ასევე დასაშვებია პასუხისმგებელი მხარის მიერ (ამ ტერმინით აღინიშნება კონტროლის განმხორციელებელი პირი), მონაცემების სუბიექტის ინტერესების დასაცავად, თუ მის მიმართ ჩადენილია დანაშაული ან არსებობს რეალური საფრთხე და შექმნილი გარემოებები იძლევა საფუძველს დავასკნათ, რომ ამგვარი ქმედობა განხორციელდება.

გარდა ამისა, დადგენილია ზოგადი გამონაკლისები და შეზღუდვები, რაც სხვა აქტებშიც არის გათვალისწინებული. კერძოდ, განსაკუთრებული პერსონალური მონაცემების დამუშავება დასაშვებია, თუ მონაცემების სუბიექტმა ამის თაობაზე თანხმობა განაცხადა ან თუ ეს აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესებისათვის და სხვ.

კანონი ადგენს შეტყობინების მოვალეობას და განსაზღვრავს შეტყობინების შინაარსს. შეტყობინების რეგისტრაცია ხორციელდება რეესტრში, რომელსაც აწარმოებენ მონაცემების დაცვის კომისია და მონაცემების დაცვის ოფიცერი.

პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ნებისმიერ პირს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს შეტყობინებაში მოცემული ინფორმაცია. დებულება არ ვრცელდება შემთხვევაზე, როდესაც საუბარია პერსონალური მონაცემების განსაზღვრული კატეგორიების დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, რომელსაც მინიჭებული აქვს საგამოძიებო უფლებამოსილება და დამუშავების მიზანია დანაშაულის აღკვეთა.

საჭიროების შემთხვევაში, მონაცემების კომისია უფლებამოსილია შეტყობინების რეგისტრაციამდე ჩაატაროს წინასწარი შემოწმება. კომისია ამოწმებს დამუშავების მართლზომიერებას და გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება.

კანონი ითვალისწინებს მონაცემების სუბიექტისათვის ინფორმაციის მიწოდების მოვალეობას. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს მონაცემები მოპოვებულია უშუალოდ მონაცემების სუბიექტისაგან თუ სხვა პირისაგან.

მონაცემების სუბიექტს კანონი ანიჭებს უფლებებს, რაც ზემოთ განხილული ყველა აქტით არის გათვალისწინებული: მაგალითად, ინფორმაციის მიღების უფლება, არასწორი, არასრული ან დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემების შესწორების, წაშლის ან ბლოკირების მოთხოვნის უფლება და სხვ.

ამ ნაშრომში განხილული სხვა საკანონმდებლო აქტების მსგავსად ეს კანონიც ადგენს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ზოგადი წესებიდან გამონაკლისებსა და შეზღუდვებს, როდესაც, მაგალითად, დასაშვებია მონაცემების სუბიექტის უფლებების შეზღუდვა: სახელმწიფოს უშიშროების, დანაშაულთა პრევენციის, აღკვეთის ან დევნის, სახელმწიფოს ან სხვა საჯარო ორგანოთა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ფინანსური ინტერესების, მონაცემების სუბიექტის ან სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. სამეცნიერო და სტატისტიკური მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავება ასევე ექცევა გამონაკლისთა ჯგუფში.

კანონით დადგენილია დარღვეული უფლების სასამართლო წესით დაცვა, გათვალისწინებულია ზიანის ანაზღაურების, მათ შორის, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

კანონით პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე ზედამხედველობის მიზნით შექმნილია მონაცემების დაცვის კომისია.

უფლებამოსილების განხორციელებისას კომისია დამოუკიდებელია.

კომისიის თავმჯდომარე ინიშნება სამეფო ბრძანებით იუსტიციის მინისტრის წარდგინების საფუძველზე ექვი წლის ვადით. ამ თანამდებობის კანდიდატი უნდა პასუხობდეს შესაბამისი აქტით რაიონული მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატისათვის დადგენილ მოთხოვნებს. კომისიის სხვა წევრები (ორი ან მეტი წევრი) ინიშნება ასევე სამეფო ბრძანებით იუსტიციის მინისტრის წარდგინების საფუძველზე ოთხი წლის ვადით. კომისიას წარმოადგენს თავმჯდომარე და მისი ორი წევრი. კომისიასთან არსებობს საკონსულტაციო საბჭო, რომლის წევრებიც ინიშნებიან იუსტიციის მინისტრის მიერ კომისიის წარდგინებით. წელიწადში ერთხელ კომისია ამზადებს მოხსენებას თავისი საქმიანობის შესახებ, რომელსაც წარუდგენს იუსტიციის მინისტრსა და *მონაცემების დაცვის ოფიცერებს*. მოხსენება უნდა გამოქვეყნდეს.

მონაცემების დაცვის ოფიცერი შესაძლოა დაინიშნოს პასუხისმგებელი მხარის ან ორგანიზაციის მიერ, რომელთანაც არსებობს პასუხისმგებელი მხარე. ოფიცერს შესაძლებლობა უნდა მიეცეს დამოუკიდებლად განახორციელოს უფლებამოსილება, რომელიც თავისი მოვალეობების შესრულებას მხოლოდ პასუხისმგებელი მხარის მიერ მისი კომისიასთან ერთად რეგისტრაციის შემდეგ შეუდგება. ოფიცერი უფლებამოსილია ზედამხედველობა განახორციელოს პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ამ აქტით გათვალისწინებული დებულებების დაცვაზე, მათ შორის, პასუხისმგებელი მხარის მონაცემების დამუშავებისას.

კომისია უფლებამოსილია პასუხისმგებელ პირს დააკისროს ადმინისტრაციული სანქციები, მის მიერ ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევისას. ჯარიმის მაქსიმუმი შეადგენს 10.000 ჰოლანდიურ გულდენს.

მძიმე კატეგორიების დარღვევების შემთხვევაში გათვალისწინებულია სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა (6 თვიანი პატიმრობა ან ჯარიმა).

უნგრეთი

პერსონალური მონაცემების დაცვისა და საჯარო ინფორმაციის გამხელის შესახებ აქტი

(უკანასკნელი ცვლილებები და დამატებები შეტანილია 1999 წლის № XXII აქტით)

კანონი ადგენს პერსონალური მონაცემების დაცვისა და საჯარო ინფორმაციის მიღების უფლების განხორციელების ძირითად წესებს. კანონის მიზანია უზრუნველყოს ნებისმიერი პირის უფლება განახორციელოს კონტროლი თავის პერსონალურ მონაცემებზე და ჰქონდეს საჯარო ინფორმაციის მიღების უფლება, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

“პერსონალური მონაცემები” გულისხმობს ნებისმიერ მონაცემებს, რაც დაკავშირებულია განსაზღვრულ ფიზიკურ პირთან (შემდგომში “მონაცემების სუბიექტი”) და ნებისმიერ დასკვნას, რომელიც გამოტანილია ამ მონაცემებიდან მის მიმართ.

პერსონალური მონაცემების განსაკუთრებული კატეგორიები მოცემულია ტერმინთა განმარტებაში და ჩვენს მიერ უკვე არაერთხელ განხილულ კატეგორიათაგან, ჩნდება ახალი ცნება: **პათოლოგიური დამოკიდებულება**.

აქტის მეორე თავი ეთმობა პერსონალური მონაცემების დაცვას, კერძოდ, მონაცემების დამუშავების დასაშვებობას, როგორც ტექნიკური, ისე სხვა საშუალებებით.

მონაცემების დამუშავებელი პირის უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს კონტროლის განმანხორციელებელი ორგანო ამ კანონისა და მონაცემების დამუშავების შესახებ სხვა კანონების შესაბამისად. პერსონალურ მონაცემებზე განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით მიცემულ მითითებათა კანონიერებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კონტროლის განმანხორციელებელ პირს.

დამუშავებელი პირი პასუხისმგებელია მისი კომპეტენციის ფარგლებში და კონტროლის განმანხორციელებელი პირის მითითებების საფუძველზე პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, შეცვლაზე, წაშლაზე, გადაცემასა და გამხელაზე. დამუშავებელ პირს უფლება არა აქვს თავისი ფუნქციების შესრულება დაავალოს სხვა დამუშავებელ პირს.

კანონი განსაზღვრავს ზემოთ უკვე განხილული მონაცემების დაცვის პრინციპებს: მონაცემების ხარისხს (საინტერესოა დებულება, რომელიც კრძალავს შეუზღუდავი, ზოგადი და ერთიანი პერსონალური საიდენტიფიკაციო კოდის გამოყენებას), მონაცემების გადაცემასა და მონაცემთა ერთობლიობის (ფაილების) გაერთიანებას, მონაცემების გადაცემას სხვა სახელმწიფოებისათვის, მონაცემების უსაფრთხოებას, მონაცემების სუბიექტის ინდივიდუალურ უფლებებს და მათ განხორციელებას.

კანონით გათვალისწინებულია დარღვეული უფლების დაცვა სასამართლო წესით და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, ისევე როგორც მტკიცების ტვირთი ეკისრება კონტროლის განმანხორციელებელ პირს.

პერსონალურ მონაცემებთან და საჯარო ინფორმაციის გამხელასთან დაკავშირებული კონსტიტუციური უფლებების დაცვის მიზნით ირჩევა მონაცემების დაცვის ომბუდსმენი და იქმნება მონაცემების დაცვის რეესტრი. საპარლამენტო კომისარს – მონაცემების დაცვის ომბუდსმენს ირჩევს ნაციონალური ასამბლეა.

ომბუდსმენს მინიჭებული აქვს ფართო უფლებები: ზედამხედველობა გაუწიოს ამ აქტისა და მონაცემების დამუშავების შესახებ სხვა კანონების განხორციელებას, შეისწავლოს საჩივრები, უზრუნველყოს მონაცემების დაცვის რეესტრის წარმოება. აღსანიშნავია მისი უფლება, რომ სახელმწიფო ან ოფიციალური საიდუმლება ვერ დააბრკოლებს მას ამ აქტით მინიჭებული უფლებების განხორციელებაში, თუმცა, მას ბოჭავს დუმილის მოვალეობა (ამ შემთხვევაში უფლებამოსილებას ახორციელებს უშაულოდ ომბუდსმენი ან მისი აპარატის ის თანამშრომლები, რომელთაც გაიარეს ეროვნული უშიშროების კონტროლი) და სხვ.

მონაცემების დაცვის რეესტრი წარმოებს კონტროლის განმანხორციელებელი პირის მიერ მიწოდებული შეტყობინების საფუძველზე, რომლის შინაარსიც ამ აქტითვეა განსაზღვრული. პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნისა და

სამართლებრივი საფუძვლების შესახებ შეტყობინების მოვალეობა ასევე ეკისრება ეროვნული უშიშროების სამსახურებს.

რეგისტრაციის შემდეგ კონტროლის განმახორციელებელ პირს მიენიჭება რეგისტრაციის ნომერი, რომელიც ყოველთვის მითითებული უნდა იქნეს მონაცემების გადაცემისა და გამხელისას, ასევე მათი მონაცემების სუბიექტისათვის გადაცემისას.

რეგისტრაციას არ ექვემდებარება პერსონალური მონაცემების დამუშავება, რაც დაკავშირებულია: იმ პირებთან, რომლებიც კონტროლის განმახორციელებელ პირთან შრომით, წევრობასთან დაკავშირებულ, საქმიან ურთიერთობებში იმყოფებიან ან სტუდენტები არიან ან დამუშავება ხორციელდება ეკლესიების, რელიგიური ორგანიზაციების შინაგანაწესების შესაბამისად, ავადმყოფობასთან ან პირის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სამედიცინო მკურნალობის მიზნებთან ან სოციალურ დაცვასთან, პირისათვის ფინანსური ან სხვა სოციალური დახმარების გაწევასთან, ოფიციალური სტატისტიკის მიზნებთან, თუ მონაცემების სუბიექტის იდენტიფიცირების საშუალება მაქსიმალურად არის შეზღუდული, კომპანიებისა და სააგენტოების საინფორმაციო ხასიათის საქმიანობასთან, რაც გათვალისწინებულია პრესის შესახებ კანონით, ემსახურება სამეცნიერო კვლევის მიზნებს; თუ დაცულია ანონიმურობა და მასალა არ გამოქვეყნდება, კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ გადაეცა არქივს, ეს ემსახურება ფიზიკური პირის პირად მიზნებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონი ასევე აწესრიგებს საჯარო ინფორმაციის გამხელასთან დაკავშირებით არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, მაგრამ ვინაიდან ეს საკითხი ჩვენი განხილვის საგანი არ არის ამ პრობლემატიკას აღარ შევეხებით.

ბრიტანეთი

1998 წლის მონაცემების დაცვის აქტი

1998 წლის მონაცემების დაცვის აქტი საკმაო სირთულით გამოირჩევა, კანონის სისტემაც განსხვავებულია, რაც ბუნებრივია, თუნდაც მისი სამართლის განსხვავებული სისტემისადმი კუთვნილების გამო. მიუხედავად ამისა, პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები გადაწყვეტილია უკვე განხილული მოდელის მსგავსად. როგორც ჩანს, აქაც გაზიარებულია ამ სფეროს რეგულირების ძირითადი მიმართულებები.

კანონის მიზანია მოაწესრიგოს ინდივიდებთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება, მათ შორის, ამგვარი ინფორმაციის მოპოვება, შენახვა, გამოყენება ან გამხელა.

კანონში მოცემულ ტერმინთა განმარტებათაგან გამოვყოფთ პერსონალური მონაცემების ცნებას, რადგან იგი განსხვავდება ზემოთ განხილულ აქტებში მოცემული დეფინიციებისაგან: “პერსონალური მონაცემები” გულისხმობს მონაცემებს, რომლებიც დაკავშირებულია ცოცხალ ინდივიდთან, რომლის იდენტიფიცირება შესაძლებელია ამ

მონაცემებიდან, ან ამ მონაცემებიდან და სხვა ინფორმაციიდან, რომელიც კონტროლის განმახორციელებელი პირის მფლობელობაშია ან შესაძლოა მოექცეს მის მფლობელობაში და მოიცავს ინდივიდის შესახებ გამოთქმულ ნებისმიერ მოსაზრებას და კონტროლის განმახორციელებელი პირის ან ნებისმიერი სხვა პირის განზრახვას ამ უკანასკნელის მიმართ.

განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები ამ აქტშიც გამოიჯნულია და კანონშემომქმედი ამ კატეგორიას “მგრძობიარე პერსონალურ მონაცემებს” უწოდებს. ზოგადად აღიარებული მონაცემების განსაკუთრებული კატეგორიების გარდა, აქაც დამატებულია მონაცემები ეთნიკური წარმოშობისა და ნასამართლობის შესახებ. ამ კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავება დასაშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევებში.

კანონით დადგენილია მონაცემების სუბიექტის უფლებები: წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შემდეგ მიიღოს ინფორმაცია კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ, მოითხოვოს მათი დამუშავების შეწყვეტა ან შეჩერება, თუ, მაგალითად, პერსონალური მონაცემების სპეციფიკური მიზნით ან სპეციფიკური საშუალებით დამუშავებისას, მას ან სხვა პირს შესაძლოა მიაღვეს ზიანი და სხვ.

კანონით უზრუნველყოფილია მონაცემების სუბიექტის უფლებების სასამართლო წესით დაცვა და დადგენილია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

კონტროლის განმახორციელებელი პირებისათვის დადგენილია შეტყობინების მოვალეობა. შეტყობინება, რომლის შინაარსიც კანონით არის განსაზღვრული მიეწოდება მონაცემების დაცვის კომისარს (შემდგომში კომისარი) და გატარდება მის მიერ წარმოებულ რეესტრში.

კომისარი, მისი ოფიცრები და აპარატი არ განიხილებიან, როგორც სამეფოს მოსამსახურეები ან აგენტები. კომისარი ანგარიშვალდებულია პარლამენტის თითოეული პალატის წინაშე და ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშს ამ აქტით გათვალისწინებული ფუნქციების შესახებ.

აქტი ასევე ითვალისწინებს მონაცემების დაცვის ტრიბუნალს. ტრიბუნალის თავმჯდომარეს ნიშნავს ლორდ-კანცლერი ლორდ-ადვოკატთან კონსულტაციის შემდეგ. თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობას ადგენს ლორდ-კანცლერი, თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული ამოცანების მხედველობაში მიღებით. ტრიბუნალის წევრებს ნიშნავს სახელმწიფო მინისტრი (შტატე შეცრეტარყ). ამ თანამდებობათა კანდიდატები უნდა პასუხობდნენ გარკვეულ კრიტერიუმებს, მაგალითად უნდა ჰქონდეთ მოსამართლედ ან ადვოკატად მუშაობის სტაჟი. ტრიბუნალის წევრები ერთის მხრივ წარმოადგენენ მონაცემთა სუბიექტის, მეორეს მხრივ, კი კონტროლის განმახორციელებელი პირის ინტერესებს: მაგალითად, კონტროლის განმახორციელებელ პირს შეუძლია კომისარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც შესაბამისი ფორმით გამოიცემა (ენფორცემენტ ნოტიცე) გაასაჩივროს ტრიბუნალში, რომელსაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების და ახალი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება აქვს მინიჭებული. ტრიბუნალის ოფიცრთა და აპარატის საშტატო რაოდენობას განსაზღვრავს სახელმწიფო მინისტრი.

რეგისტრაციის განხორციელებამდე, კონტროლის განმახორციელებელი პირის შეტყობინებისთანავე კომისარი ამოწმებს, თუ რამდენად დასაშვებია პერსონალური მონაცემების დამუშავება და შესაბამება, თუ არა ამ კანონით დადგენილ წესებს. რეესტრში რეგისტრაციის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, პერსონალური მონაცემების დამუშავება დაუშვებელია.

სახელმწიფო მინისტრმა (შეცრეტარე ოფ შტატე), შესაბამისი კანონქვემდებარე აქტით, კონტროლის განმახორციელებელ პირს შესაძლოა დაავალოს *მონაცემების დაცვაზე ზედამხედველი პირის* დანიშვნა, რომელიც დამოუკიდებლად განახორციელებს კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ ამ კანონით დადგენილ წესებთან პერსონალური მონაცემების დამუშავების შესაბამისობის მონიტორინგს.

ამავე კანონქვემდებარე აქტით მას შესაძლოა დაეკისროს მოვალეობები კომისარის წინაშე, ხოლო ამ უკანასკნელს მიენიჭოს ფუნქციები მონაცემების დაცვაზე ზედამხედველ პირებთან მიმართებაში.

აქტის დანართში მოცემულია მონაცემების დაცვის რვა პრინციპი და მათი განმარტებები. მათი შინაარსი არსებითად არ განსხვავდება ზემოთ განხილული საკანონმდებლო აქტებით აღიარებული პრინციპებისაგან, ამდენად, მათ დეტალურ დახასიათებას აღარ შევუდგებით.

პერსონალური მონაცემების დამუშავება უნდა განხორციელდეს სამართლიანად (იგულისხმება მონაცემების მოპოვების მეთოდი: მაგალითად, ზომ არ იყო პირი, რომლისგანაც მიღებულ იქნა ინფორმაცია, მოტყუებული ან შეცდომაში შეყვანილი) და მართლზომიერად. პერსონალური მონაცემები მოპოვებულ უნდა იქნეს მხოლოდ სპეციფიკური და კანონიერი მიზნებისათვის, იყოს ზუსტი და აქტუალური. შენახვის ხანგრძლივობა, როგორც წესი, უნდა შემოიფარგლოს კანონიერი მიზნების შესრულებით, ამ აქტით გათვალისწინებული მონაცემების სუბიექტის უფლებათა დაცვით, შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მიღებით, რათა აღკვეთილ იქნეს პერსონალური მონაცემების შემთხვევითი დაკარგვა, დაზიანება და სხვ., პერსონალური მონაცემები არ უნდა გადაეცეს ევროპული ეკონომიკური ზონის ფარგლებს გარეთ არსებულ სახელმწიფოებს, სადაც შესაბამისი კანონმდებლობით უზრუნველყოფილი არ არის პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები.

ამ კანონით ასევე დადგენილია ზოგადი წესებიდან გამონაკლისები და შეზღუდვები (მონაცემების დაცვის პრინციპების შეზღუდვა), მაგალითად, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რის თაობაზეც სამეფოს მინისტრი (ინისტერ ოფ ჩროუნ) გამოსცემს სპეციალურ აქტს-სერტიფიკატს. პირს, რომელსაც უშაულოდ შეეხება სერტიფიკატი, შეუძლია მისი სასამართლოში გასაჩივრება.

ზოგადი წესებიდან გამონაკლისი დაიშვება ასევე პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ნებისმიერი პირის მიერ ჟურნალისტური, ლიტერატურული ან სახელოვნებო მასალების გამოქვეყნების მიზნით, თუ კონტროლის განმახორციელებელი პირი ჩათვლის, რომ პუბლიკაცია მნიშვნელოვანია პიროვნების თავისუფალი გამოხატვის უფლებისა და საჯარო ინტერესების თვალსაზრისით, თუ დაცული იქნება შესაბამისი პირობები, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება ხელს არ შეუწყობს ცალკეულ ინდივიდთა წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებსა და გადაწყვეტილებებს და თუ ეს მნიშვნელოვან ზიანს არ მიაყენებს მონაცემების სუბიექტს.

იგივე ვრცელდება პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე კვლევის მიზნებით, რაც მოიცავს სტატისტიკურ ან ისტორიულ კვლევას, თუ დაცული იქნება ზემოთ აღნიშნული პირობები და კვლევის შედეგი არ გამოქვეყნდება იმ ფორმით, რაც შესაძლებელს გახდის მონაცემების სუბიექტის იდენტიფიცირებას.

პერსონალური მონაცემების გამხელა ასევე დასაშვებია სასამართლოს გადაწყვეტილებით, ან იმ მიზნით, რაც აუცილებელია კანონით დადგენილი უფლებების განსახორციელებლად ან დასაცავად, ასევე სისხლის-სამართლებრივი დევნის მიზნების განსახორციელებლად.

მონაცემების დაცვის პრინციპებიდან გამონაკლისს ასევე წარმოადგენს პერსონალური მონაცემების დამუშავება პირადი, საოჯახო ან საყოფაცხოვრებო მიზნით.

რეკომენდაციები

პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის აუცილებლობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე საქართველოს ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შემუშავდა კანონპროექტი “პერსონალური მონაცემების შესახებ”, რომელიც აწესრიგებს ამ სფეროში არსებულ ურთიერთობებს.

კანონპროექტის შემუშავებისას ავტორებს გაზიარებული აქვთ პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით არსებული სხვადასხვა სახელმწიფოების კანონმდებლობითი გამოცდილება, თუმცა, ამ მიმართულებით არის მთელი რიგი საკითხები, რომელთა საკანონმდებლო აქტით რეგულირება აუცილებელია დაცვის შესაბამისი მექანიზმების ასამოქმედებლად და რაზეც წარმოდგენილ კანონპროექტში ყურადღება არ არის გამახვილებული.

პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში არსებული სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას მიზანშეწონილია მხედველობაში მივიღოთ კონტინენტური სამართლის სისტემის მქონე სახელმწიფოების გამოცდილება, განსაკუთრებით, *პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ამგვარი ინფორმაციის თავისუფალი ბრუნვის შესახებ* ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 95/46/ ჩ, რომელთანაც შესაბამისობაშია მოყვანილი ევროგაერთიანების თითქმის ყველა წევრ-სახელმწიფოს მონაცემების დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა.

საჭიროების შემთხვევაში, ქართული კანონმდებლობისა და საზოგადოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია სიახლეების შემოღებაც, თუ

უზრუნველყოფილი იქნება პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში აღიარებულ საერთაშორისო პრინციპებთან და დებულებებთან შესაბამისობა.

იგივე შეიძლება ითქვას პროექტში გამოყენებულ ტერმინოლოგიაზე. აქაც უმჯობესია, რომ გამოვიყენოთ უკვე დამკვიდრებული სამართლებრივი ტრადიცია, რასაკვირველია, ქართული ენის თვითმყოფადობის შენარჩუნებით.

კანონპროექტში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს კანონის მიზანი და მისი გამოყენების სფერო. პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში შედარებითმა სამართლებრივმა მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ კანონის მიზანთან მიმართებაში კანონშემოქმედთა განზრახვა შემოიფარგლება მხოლოდ *ფიზიკური პირის*, მისი ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვით პერსონალური მონაცემების დამუშავებისას.

შემოთავაზებული კანონპროექტი აფართოებს კანონის მიზანს და კანონის სუბიექტად ასევე აქცევს *იურიდიულ პირს*, მის საქმიანობას. ჩვენთვის ბუნდოვანია “იურიდიული პირის პერსონალური მონაცემების” ცნება და ამ დებულებით კონკრეტულად თუ რომელი სამართლებრივი სიკეთის დაცვას ისახავს მიზნად კანონპროექტი. ამდენად, ჩვენი პოზიციის კატეგორიულად განცხადებისაგან თავს შევიკავებთ, თუმცა ვფიქრობთ, რომ საკითხი განსჯის საგანი უნდა გახდეს.

კანონის გამოყენების სფერო უნდა გავრცელდეს როგორც კერძო სამართლის, ისე საჯარო სამართლისა და სახელმწიფო ორგანოების (შესაძლოა გამოვიყენოთ ტერმინი “ადმინისტრაციული ორგანო” – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გაგებით) მიერ პერსონალური მონაცემების მოპოვებაზე, დამუშავებასა (შენახვა, შეცვლა, გადაცემა, ბლოკირება, წაშლა, გამოცალკეება, გაერთიანება, გამხელა) და გამოყენებაზე.

აქვე შესაძლოა განისაზღვროს ის სფეროები, რომლებზედაც არ გავრცელდება ამ კანონის მოქმედება, მაგალითად, ფიზიკური პირის მიერ პერსონალური მონაცემების მოპოვებაზე, დამუშავებასა და გამოყენებაზე პირადი და საყოფაცხოვრებო მიზნებით ან სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მონაცემებზე, რაც მოწესრიგებულია “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

კანონის გამოყენების სფეროს მკაფიოდ განსაზღვრა, ვფიქრობთ, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისითაც გამართლებული უნდა იყოს.

ტერმინთა განმარტების თავში უმჯობესია შეძლებისდაგვარად უნიფიცირებული დეფინიციების გამოყენება და თავად განსამარტავ ტერმინთა რაოდენობის შემცირება (კანონპროექტში განმარტებულ ტერმინთა ოდენობა გადაჭარბებულია და არ არის საჭირო არც მოსაწესრიგებელი სამართლებრივი ურთიერთობების გათვალისწინებით და არც საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პერსონალური მონაცემების ცნების განსაზღვრა. როგორც ამ კანონის დაცვის სუბიექტთან მიმართებაში აღვნიშნეთ, აქაც, წარმოებული შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვის შედეგად გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით, პერსონალური მონაცემები, როგორც წესი, წარმოადგენენ იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად *ფიზიკურ პირთან* დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას. შემოთავაზებულ კანონპროექტში კი

პერსონალური მონაცემები ასევე გულისხმობს *იურიდიულ პირთან* დაკავშირებულ პერსონალურ მონაცემებსაც.

ტერმინთა განმარტების შემდეგ მიზანშეწონილია ცალკე თავი დაეთმოს მონაცემების დაცვის აღიარებულ საერთაშორისო პრინციპებს, რაც პერსონალური მონაცემების დაცვის არსებითი ელემენტია. ამ მხრივ საინტერესოა “პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ” ესპანეთის 1999 წლის 13 დეკემბრის ორგანული კანონი, რომელშიც საკმაოდ სისტემურად არის ჩამოყალიბებული აღნიშნული საკითხი და თვალსაჩინოებისათვის ამ ნაწილს შედარებით დეტალურად წარმოვადგენთ:

მონაცემების დაცვის ძირითადი პრინციპებიდან გამოვარჩევთ *მონაცემების ხარისხს*, რაც ადგენს პერსონალური მონაცემების მოპოვებისა და დამუშავების დასაშვებობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები ადეკვატური და შესაბამისია და არ სცილდება იმ სპეციფიკურ, განსაზღვრულ და კანონიერ მიზნებს, რომელთა შესასრულებლადაც იქნა ისინი მოპოვებული. ამასთან, ისტორიული, სტატისტიკური და სამეცნიერო მიზნებით მონაცემთა დამუშავება არ ჩაითვლება მიზნების შეუსაბამოდ; პერსონალური მონაცემები უნდა იყოს საკმარისად ზუსტი და აქტუალური, რომ იძლეოდეს მონაცემების სუბიექტის ახლანდელი მდგომარეობის შესახებ წარმოდგენის შექმნის შესაძლებლობას; თუ დამტკიცდება, რომ ჩაწერილია მთლიანად ან ნაწილობრივ არასწორი ან არასრული პერსონალური მონაცემები, მაშინ უნდა მოხდეს მათი წაშლა ან შეცვლა შესაბამისი შესწორებული ან დამატებითი მონაცემებით, ისე, რომ დაცულ იქნეს მონაცემების სუბიექტის შესაბამისი უფლებები (იგულისხმება მონაცემების სუბიექტის უფლება მონაცემთა შესწორებაზე და გაუქმებაზე); პერსონალური მონაცემები უნდა წაიშალოს, თუ მათი შენახვა აღარ არის საჭირო ან შესაბამისი იმ მიზნებისა, რომელთა შესასრულებლადაც მოხდა მათი მოპოვება ან ჩაწერა; მონაცემები არ უნდა იქნეს შენახული იმ ფორმით, რომელიც იძლევა მონაცემების სუბიექტის იდენტიფიცირების საშუალებას, ასევე, უფრო ხანგრძლივი პერიოდით, ვიდრე ეს საჭიროა იმ მიზნებისათვის, რომელთა შესასრულებლადაც მოხდა მათი მოპოვება ან ჩაწერა. შესაძლებელია ისტორიული, სტატისტიკური ან სამეცნიერო ფასეულობის მქონე განსაკუთრებულ მონაცემთა ერთობლიობის უფრო ხანგრძლივი პერიოდით შენახვა, სპეციფიკური კანონმდებლობის შესაბამისად; პერსონალური მონაცემები ისე უნდა იქნეს შენახული, რომ იძლეოდეს მათი გაცნობის შესაძლებლობას, თუ არ განხორციელდა მათი მართლზომიერად წაშლა; აკრძალულია მონაცემების მოტყუებით და უკანონოდ მოპოვება.

აქტუალურია მონაცემების მოპოვებისას ინფორმაციის უფლება, რაც გულისხმობს, რომ მონაცემების სუბიექტს, რომლისგანაც მოპოვებულ იქნა პერსონალური მონაცემები წინასწარ უნდა მიეწოდოს განსაზღვრული, ზუსტი და ერთმნიშვნელოვნად ფორმულირებული ინფორმაცია მონაცემთა ერთობლიობის არსებობის ან პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ოპერაციის, მონაცემების მოპოვების მიზნისა და მიმღების შესახებ; მონაცემების მოპოვების ან მონაცემების მიწოდებაზე უარის შედეგების შესახებ; მონაცემების გაცნობის, შესწორების, წაშლის და უარის შესახებ; კონტროლის განმახორციელებელი პირის ან მისი წარმომადგენლის ვინაობისა და მისამართის შესახებ.

თუ პერსონალური მონაცემები მოპოვებული არ იქნა მონაცემების სუბიექტისაგან, მაშინ მონაცემთა ჩაწერიდან სამი თვის განმავლობაში (თუ

ინფორმაციის მიწოდება წინასწარ არ განხორციელდა) მონაცემების სუბიექტს ზემოთ აღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად დამატებით უნდა მიეწოდოს განსაზღვრული, ზუსტი და ერთმნიშვნელოვნად ფორმულირებული ინფორმაცია დამუშავების მინაარსზე და მონაცემების მიმწოდებელი წყაროს შესახებ.

ინფორმირების მოვალეობა არ წარმოიშობა პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით, რომელთა მოპოვება განხორციელდა ისტორიული, სტატისტიკური, სამეცნიერო მიზნებით ან თუ შეუძლებელია მონაცემების სუბიექტის ინფორმირება ან თუ ეს დაკავშირებულია არათანაზომიერად დიდ დანახარჯებთან, ან კიდევ ინფორმაცია მოპოვებულ იქნა საჯარო ხელმისაწვდომი წყაროებიდან.

მონაცემების დაცვის პრინციპია ასევე მონაცემების სუბიექტის თანხმობა, დუმილის მოვალეობა ან მონაცემების კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოვალეობა, მონაცემების გადაცემა, რაც, როგორც წესი, დასაშვებია მხოლოდ მონაცემების გადამცემი და მიმღები პირების მიერ უშუალოდ კანონით დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად, ამასთან, ძირითადად მონაცემების სუბიექტის წინასწარი თანხმობით.

პერსონალური მონაცემების გადაცემის თვალსაზრისით, საინტერესოა, მაგალითად, ერთი სახელმწიფო ორგანოს მიერ მეორე სახელმწიფო ორგანოსათვის მონაცემთა გადაცემის რეგულირების მექანიზმი. ზოგადი წესის შესაბამისად, ამ შემთხვევაში, პერსონალური მონაცემების გადაცემა დასაშვებია პერსონალური მონაცემების გადამცემი და მიმღები ორგანოსათვის მხოლოდ კანონით დაკისრებული ამოცანების შესრულების მიზნით და ამ უფლებამოსილებათა ფარგლებში. ამასთან, ყურადღებას იპყრობს ამ პროცესზე კონტროლის განხორციელების მექანიზმი, რაც პასუხისმგებლობის გადანაწილებაში მდგომარეობს. ძირითადად, პასუხისმგებლობა მონაცემების გადამცემ ორგანოს ეკისრება, მაგრამ თუ მონაცემები გადაცემულ იქნა სხვა ორგანოს მიმართვის (მოთხოვნის, შუამდგომლობის) საფუძველზე, მაშინ პასუხისმგებლობა ამ უკანასკნელზე გადადის.

თუ განსაკუთრებული კატეგორიების პერსონალური მონაცემების დამუშავების ზოგადი წესი და გამონაკლისები ამ წესიდან არ იქნა დადგენილი ცალკე თავით, მაგალითად, პერსონალური მონაცემების დამუშავების მართლზომიერების ზოგადი წესების შესახებ თავში, შესაძლოა მათი მოქცევა მონაცემების დაცვის პრინციპების თავშიც.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს და შესაძლოა ცალკე თავითაც დადგინდეს მონაცემების სუბიექტის უფლებები, მაგალითად, მონაცემების გაცნობის უფლება, შესწორების, წაშლის ან გაუქმების უფლება, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რაზეც წარმოდგენილ კანონპროექტში ასევე არ არის გამახვილებული ყურადღება, თუმცა, გათვალისწინებულია მონაცემის სუბიექტის მიერ უფლების სასამართლო წესით დაცვა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რაც ტექნიკური თვალსაზრისით გასამართი და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან შესაბამისობაშია მოსაყვანი.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტში უნდა ჩაიდოს და ნათლად გაიმიჯნოს, ერთის მხრივ, მონაცემების სუბიექტის უფლებები და მოვალეობები, ხოლო, მეორეს მხრივ, ზედამხედველი ორგანოს/პირის, კონტროლის

განმასორციელებელი პირისა და დამმუშავებლის უფლებები და მოვალეობები, რაც ამ სფეროს ეფექტური რეგულირების საშუალებაა.

კანონპროექტით გათვალისწინებულია პერსონალური მონაცემების ღიაობა და საიდუმლოება, განსაზღვრულია ღია და საიდუმლო პერსონალური მონაცემები და საიდუმლო პერსონალურ მონაცემებთან მუშაობის კონფიდენციალური და განსაკუთრებული რეჟიმები. გარდა ამისა, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილია ღია პერსონალური მონაცემების საიდუმლოდ და პირიქით გამოცხადების შესაძლობა და ასევე მათზე მუშაობის რეჟიმების შეცვლა. ამასთან, მუხლის ფორმულირებიდან ბუნდოვანია, თუ ვის უნდა მიენიჭოს ამ საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილება.

ზემოთ აღნიშნული საკითხები არსებითი მნიშვნელობისაა და ამდენად, მათზე განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ. ფორმალური ხასიათის შენიშვნა შეეხება ტერმინებს. პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის შედარებითი სამართლებრივი მიმოხილვისას დავადგინეთ, რომ ამ კანონის გამოყენების სფეროში მოქცეული პერსონალური მონაცემები დაყოფილია ორ ძირითად კატეგორიად: პერსონალური მონაცემები და პერსონალური მონაცემების განსაკუთრებული კატეგორიები (ან სახეები, ასევე სენსორული ან მგრძობიარე პერსონალური მონაცემები). ვფიქრობთ, ჩვენც ამგვარ კლასიფიკაციას უნდა მივმართოთ.

განხილულ საკანონმდებლო აქტებში მოცემულია პერსონალური მონაცემების განსაკუთრებული კატეგორიების ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა დამუშავებაზეც ვრცელდება ზოგადი ხასიათის აკრძალვა, თუმცა, კანონი შეიძლება აღგენდეს გამონაკლისებს ამ ზოგადი წესიდან, რაც ასევე ამომწურავად უნდა იყოს კანონით განსაზღვრული.

პერსონალური მონაცემების განსაკუთრებული კატეგორიების უფლებამოსილი პირის მიერ დამუშავება დასაშვებია, მაგალითად, სახელმწიფო უშიშროების, თავდაცვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების (მართლწესრიგის), დანაშაულთა პრევენციის, გამოძიების, ან სისხლის-სამართლებრივი დევნის, პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევის, მნიშვნელოვანი ეკონომიკური ან ფინანსური, მათ შორის, სავალუტო, საბიუჯეტო და საგადასახადო ინტერესებიდან გამომდინარე, ასევე, მონაცემების სუბიექტის ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, ან თუ მონაცემების სუბიექტი თავად განაცხადებს თანხმობას ამ მონაცემების დამუშავების თაობაზე.

განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს წარმოადგენენ მონაცემები, დაკავშირებული: რასობრივ, ეროვნულ ან ეთნიკურ წარმომავლობასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფკავშირის წევრობასთან, ასევე, ჯანმრთელობასთან და სექსუალურ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, პათოლოგიურ დამოკიდებულებასთან.

ვფიქრობთ, რომ კანონპროექტში ასევე უნდა იქნეს გაზიარებული ამ საკითხის გადაწყვეტის საერთაშორისო პრაქტიკა და ამომწურავად დადგინდეს პერსონალური მონაცემების განსაკუთრებული კატეგორიები. თუმცა, მაგალითად, პროფკავშირის წევრობასთან დაკავშირებულ მონაცემებზე ყურადღების გამახვილება შესაძლოა ჩვენთვის არ იყოს აქტუალური.

წარმოდგენილ კანონპროექტში, მართალია, ერთმანეთისაგან გამიჯნულია ე.წ. ღია და საიდუმლო პერსონალური მონაცემები, მაგრამ ღია პერსონალურ მონაცემებად მიჩნეულია, მაგალითად, მონაცემები დაკავშირებული პოლიტიკური პარტიის, პროფკავშირის ან რელიგიურ ორგანიზაციებში წევრობასთან ან “გარკვეულ ფილოსოფიასა და მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობასთან”, რაც ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პერსონალური მონაცემების დაცვასთან მიმართებაში არამართლზომიერ ხელყოფად ჩაითვლება.

გარდა ამისა, კანონპროექტი ცალკე წესს ადგენს “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირების პერსონალური მონაცემების დამუშავებისას: პერსონალური მონაცემების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, მაგალითად, “სექსუალურ ორიენტაციასთან” ან “რელიგიურ მრწამსსა და ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასთან” დაკავშირებულ მონაცემებს ღია პერსონალურ მონაცემებად აცხადებს და იძლევა ამ კატეგორიის საჯარო მოსამსახურეთა პირად ცხოვრებაში შეჭრის შესაძლებლობას, რაც, ზემოთ აღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ყოველად დაუშვებელია.

გასაგებია, რომ ავტორები ცალკე გამოყოფენ ამ კატეგორიის პირებს განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე. მაგრამ, თუ ჩვენ კანონპროექტში განვსაზღვრათ პერსონალური მონაცემების განსაკუთრებული კატეგორიების დამუშავების ზოგად წესებსა და გამონაკლისებს ამ წესებიდან, რომ, მაგალითად, სახელმწიფო უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლებელია ამ კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავება, ვფიქრობთ, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის მექანიზმები ამ დებულებებით იქნება უზრუნველყოფილი და ამ კატეგორიის პირებისათვის რეგულირების ცალკე წესის დადგენის აუცილებლობა არ წარმოიშობა. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველა შემთხვევაში, უნდა გაიმიჯნოს პერსონალური მონაცემები და პერსონალური მონაცემების განსაკუთრებული კატეგორიები და ის, თუ რომელი მათგანის დამუშავებაა სავალდებულო უფლებამოსილი პირის ან დამმუშავებლისათვის მინიჭებული უფლებამოსილების განსაზღვრული უფლებებიდან გამომდინარე.

ასევე გაუმართლებლად მიგვაჩნია ზედამხედველი პირისათვის/ორგანოსათვის, უფლებამოსილი პირისათვის ან დამმუშავებლისათვის კანონით ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რაც მას შესაძლებლობას მისცემდა საკუთარი შეხედულებისამებრ დაედგინა მონაცემების ჩვეულებრივი ან განსაკუთრებული კატეგორიებისათვის მიკუთვნება ან მათზე მუშაობის რეჟიმების შეცვლა. ამ დებულების დადგენით არა მხოლოდ მონაცემების სუბიექტის უფლებების შელახვასთან გვექნებოდა საქმე, არამედ ამ კანონის მიზნის სრულ უგულებელყოფასთან.

ბუნდოვანია კანონპროექტით გათვალისწინებული საიდუმლო პერსონალურ მონაცემებზე მუშაობის რეჟიმების დეფინიციები და მათი ამოქმედების წინაპირობები (მხედველობაში გვაქვს საიდუმლო პერსონალურ მონაცემებზე მუშაობის კონფიდენციალური და განსაკუთრებული რეჟიმები).

ყურადღება უნდა გავამახვილოთ პერსონალური მონაცემების შეტყობინებასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებზეც, რაც გათვალისწინებულია კანონპროექტის

მე-10 მუხლით. ამ დებულებით გათვალისწინებულია ფიზიკური პირებისა და სახელმწიფო-პოლიტიკური პირების შეტყობინებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი.

საერთაშორისო პრაქტიკა ამ საკითხის ირგვლივ სხვა მიმართულებით არის განვითარებული, კერძოდ, საუბარია შეტყობინების მოვალეობაზე, რომელიც ეკისრებათ კონტროლის განმასრვლებელ (თუ რეესტრს ზედამხედველი პირი აწარმოებს) ან დამუშავებელ პირებს პერსონალური მონაცემების დამუშავების უფლების მოსაპოვებლად. შეტყობინების შინაარსი განისაზღვრება კანონით, ხოლო მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ზედამხედველი ორგანო/პირი ან უფლებამოსილი პირი ამოწმებს შეტყობინების შინაარსის შესაბამისობას პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროში მოქმედ კანონმდებლობასთან და აწარმოებს შესაბამის რეესტრს, რაც, ერთის მხრივ, კონტროლის განხორციელების, ხოლო, მეორეს მხრივ, პერსონალური მონაცემების დამუშავების საჯაროობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ელემენტია. ამდენად, წარმოდგენილი კანონპროექტით ამ განსხვავებული წესის დადგენის მოტივაცია ბუნდოვანია.

მნიშვნელოვანია პერსონალური მონაცემების დამუშავებისას საჯაროობის უზრუნველყოფა შესაბამისი რეესტრის წარმოების გზით.

კანონპროექტით გათვალისწინებულია სხვადასხვა სახელმწიფო რეესტრების წარმოება და მათში დაცული ერთიანი მონაცემების კონცენტრაცია ელექტრონული ფორმით. თუმცა, შესაძლოა შეიქმნას ერთიანი რეესტრიც, რაც მონაცემთა დამუშავების თაობაზე შეტყობინებათა რეგისტრაციის ან აღრიცხვის უნიფიცირებული საშუალებაა. ამასთან, უფლებამოსილმა პირმა უნდა აწარმოოს არა მხოლოდ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების რეგისტრაცია, როგორც ეს კანონპროექტით არის შემოთავაზებული, არამედ ნებისმიერი პერსონალური მონაცემების დამუშავებისა.

ამ კანონით ასევე უნდა განისაზღვროს პერსონალური მონაცემების დაცვაზე ზედამხედველი ორგანოს ან პირის სტატუსი და უფლებამოსილება კონტროლის განმასრვლებელი, დამუშავებელი პირის მიმართ.

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობისა და მწირი საბიუჯეტო სახსრების მხედველობაში მიღებით ახალი სამსახურების შექმნა ნაკლებად შესაძლებელია. ამდენად, თავად კანონპროექტის ავტორების

განზრახვა სახალხო დამცველის უფლებამოსილების ამ მიმართულებით გაზრდის თაობაზე მნიშვნელოვანია. შესაძლოა სახალხო დამცველის უფლებამოსილების ამ მიმართულებით კიდევ უფრო მეტად გაზრდა და მისთვის მონაცემების დაცვის ორგანოს/ზედამხედველი პირის სტატუსის მინიჭება, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული სფეროს მოწესრიგებას.

ამგვარად, ზემოთ მოხსენებული მოსაზრებების გამო ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი დასახვეწია სისტემური და საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით და ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის რეგულირების აუცილებლობიდან გამომდინარე.